



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო ურთიერთობები, საბაკალავრო პროგრამა
აიიპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 19.06.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი: 12.07.2023

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	9
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და პროგრამასთან მათი შესაბამისობა.....	9
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	19
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	27
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	31
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	38

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ააიპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205233022
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თამაზჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ჰანდკე სტეფანი, HTW დრეზდენის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ივანა მაჩიტაძე, ნიუ ვიქენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თინათინ ქაროსანიძე, შპს თვისუფალი უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სალომე ალანია, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ქოთოლაშვილი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	საერთაშორისო ურთიერთობები
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	International Relations
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი, უმაღლესი განათლების I საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	არ არის მითითებული
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პირობით აკრედიტებული 20 ივლისი 2021 წ. გადაწყვეტილება #726261
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	არ არის მითითებული

²თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მითითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

³(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

ააიპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში: სანგუ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში 2021 წლიდან ფუნქციონირებს საბაკალავრო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობებში“. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს #726261 გადაწყვეტილებით, პროგრამას პირობითი აკრედიტაცია ორი წლის ვადით მიენიჭა. 2022 წლის ზაფხულში, აკრედიტაციის მოთხოვნებისა და შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების გათვალისწინებით, პროგრამა არსებითად შეიცვალა, სამუშაო ჯგუფის მიერ დაინტერესებულ მხარეებთან და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ადმინისტრაციულ ერთეულებთან თანამშრომლობით. პროგრამის დასასრულებლად, სწავლის ხანგრძლივობის სტანდარტული პერიოდი არის ოთხი წელი. ბაკალავრის ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 240 ECTS კრედიტი. პროგრამა მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს, რომლის მეშვეობითაც სტუდენტი იძენს სრულყოფილ ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

უნივერსიტეტისა და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის შეფასება მოხდა ყოვლისმომცველი და დეტალური დოკუმენტაციის საფუძველზე. ადგილზე ვიზიტის დროს 2023 წლის 19 ივნისს, გასაუბრება ჩატარდა უნივერსიტეტის ყველა სტატუსის მქონე ჯგუფთან, კურსდამთავრებულებთან და პროფესიული პრაქტიკის მომწოდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ინტენსიური დისკუსიები პასუხობდა ექსპერტთა ჯგუფის ყველა ღია კითხვას და გვაწვდიდა დამაჯერებელ პასუხებს.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

წინა აკრედიტაციის შემდეგ ჩატარებული ცვლილებების საფუძველზე, საბაკალავრო პროგრამა ძირითადად აკმაყოფილებს საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის საუნივერსიტეტო დონის პროგრამის მოთხოვნებს. პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია 1,2 3 და 4 სტანდარტთან. მე-5 სტანდარტთან მიმართებით კი სრულ შესაბამისობაშია.

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია „ციფრული დიპლომატიის“ და „უსაფრთხოების კვლევების“ სპეციალობების განვითარება, რადგან პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით ისტორიულ ცოდნასა და საბაზისო კომპეტენციებზე.
- ამჟამად, საერთაშორისო ურთიერთობებში პრაქტიკული გამოცდილება ძირითადად გასვლითი შეხვედრებით/ექსკურსიებით მიიღება. რეკომენდებულია პრაქტიკული კომპეტენციების გაზრდა უფრო ხანგრძლივი სტაჟირებით და ECTS კრედიტების (სასურველია 5-დან 6- კრედიტამდე) მინიჭება ამ პრაქტიკული კომპონენტებისთვის.

⁴პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

- რეკომენდებულია პროგრამაში კვლევითი კომპონენტის გაძლიერება საბაკალავრო ნაშრომის კვლევის დეტალური სახელმძღვანელოებით, რომელიც აზუსტებს კვლევის კომპონენტებს (საკვლევი კითხვა/ჰიპოთეზა/საკვანძო განცხადება, მეთოდოლოგია, ლიტერატურის მიმოხილვა).
- რეკომენდებულია შრომის ბაზრის საჭიროებებისა და მოთხოვნების ღრმა და ყოვლისმომცველი შეფასება, უფრო ფართო ხარისხობრივი კომპონენტით და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მომუშავე მიზნობრივი აუდიტორიით.
- რეკომენდებულია პოტენციურ დამსაქმებლებთან (საერთაშორისო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საჯარო სექტორთან) მუდმივი კომუნიკაციის მექანიზმის ჩამოყალიბება, რომელიც განხორციელდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ;
- ჩამოთვლილი კურსების ლიტერატურა უნდა გადაიხედოს: საერთაშორისო ტერორიზმი, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, საერთაშორისო სამართალი, შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში, დიპლომატიური ეტიკეტი და მოლაპარაკებების ხელოვნება.
- უცხო ენის ცოდნა უნდა გაძლიერდეს კურსებში ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამატებით.
- რეკომენდებულია შესაბამისი საკვანძო ლიტერატურის მიწოდება სპეციალობის კურსებზე.
- უსდ-მ ხელი უნდა მოაწეროს მეტ დარგობრივ მემორანდუმს და დაამყაროს პარტნიორობა საქართველოში მოქმედ შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კვლევით ცენტრებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.
- პროგრამამ უნდა გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციის ასპექტი და სტუდენტებს მისცეს მეტი საერთაშორისო გამოცდილება და შესაძლებლობები, როგორცაა სხვადასხვა გაცვლითი პროგრამები, კონფერენციები და პროექტები.
- პროგრამას სჭირდება ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან (ინსტიტუციები, ორგანიზაციები) დაკავშირება, რათა სტუდენტებს მისცეს სხვადასხვა შესაძლებლობები ადგილობრივ დონეზეც.
- საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამამ პრიორიტეტული უნდა გახადოს აკადემიური ხარისხისა და პოლიტიკური მეცნიერებების დარგსა და მის ქვედარგებში, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში შესაბამისი კვლევითი ინტერესების მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა.
- აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვა უფრო თანაბრად უნდა გადანაწილდეს აკადემიურ პერსონალს შორის.
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ბალანსი, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის ამაღლებას..

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა უნდა მოიცავდეს უფრო თანამედროვე საერთაშორისო ლიტერატურას, რადგან ამჟამად ძირითადად გამოიყენება კლასიკური ტექსტები.
- სასურველია უცხოელი სტუდენტების პროგრამაზე ჩარიცხვისთვის საჭირო კონკრეტული პროცედურის აღმწერი დოკუმენტის უზრუნველყოფა.
- სასურველია უცხოელი სტუდენტების პროგრამაზე ჩარიცხვისთვის საჭირო შეფასების პროცედურის დეტალურად აღმწერი დოკუმენტის უზრუნველყოფა.
- უსდ-მ უნდა აღწეროს ინგლისური ენის დონის განსაზღვრისა და სტუდენტების სხვადასხვა ჯგუფად დაყოფის პროცედურა.

- სასურველია პროგრამაში ეკონომიკური კომპონენტების ბლოკის გაძლიერება.
- ჩინური ენისთვის შესაბამისი საათებისა და კრედიტების განსაზღვრა.
- კურსის სპეციფიკის შესაბამისად შეფასების მეთოდების გამრავალფეროვნება.
- სასურველია დაემატოს 1921 წლიდან 1990-იან წლებამდე პერიოდში ქართული დიპლომატიის ისტორიის საკითხები.
- არსებული ბიუჯეტი მხოლოდ სტუდენტური თვითმმართველობის პროექტებისთვის არის განკუთვნილი და არ ითვალისწინებს სტუდენტების დამოუკიდებელი პროექტების დაფინანსებას. კარგი იქნება, თუკი უნივერსიტეტს ექნება სტუდენტების დამოუკიდებელი პროექტებისა და აქტივობების ფინანსური მხარდაჭერა.
- აკადემიური პერსონალისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნება და ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესება;
- ექსპერტთა გუნდი მიიჩნევს, რომ აკადემიური პერსონალის საერთაშორისო პროფილის გაძლიერება ხელს შეუწყობს პროგრამის მდგრადობას და სხვა უნივერსიტეტებიდან მიღებული საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას.
- ბიბლიოთეკის ელექტრონული სისტემის (KOHA) განახლება უნდა დასრულდეს, რადგან აკადემიური წყაროების (წიგნები, წიგნის თავები, აკადემიური ნაშრომები) ძიება გართულდა ინსტალაციის პროცესის გამო.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵**

▪ **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არგაზიარების შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის უნივერსიტეტს დასკვნის პროექტზე დეტალური კომენტარებისთვის. დასკვნაში არის კრიტიკა, ისევე როგორც რეკომენდაციები და რჩევები. ექსპერტთა ჯგუფი აცნობიერებს, რომ სანგუს მიზანია ყველა მოთხოვნის შესრულება მომავალში. თუმცა, ვინაიდან შეფასების დროისთვის შეუძლებელია ამის თაობაზე რაიმე მტკიცებულების წარმოდგენა, ექსპერტთა ჯგუფი გვთავაზობს შენარჩუნდეს ყველა რეკომენდაცია და რჩევა.

▪ **ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მიღწევების ან/და პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

რაც შეეხება ბოლო აკრედიტაციის შემდგომ ცვლილებებს, უსდ დოკუმენტებში და ინტერვიუებში აღწერს, რომ პროგრამა არსებითად გააუმჯობესა და სისუსტეები აღმოფხვრა. ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს ძალისხმევას და აფასებს, რომ უნივერსიტეტს სურს ყურადღება გაამახვილოს განვითარებად ტენდენციებზე, როგორიცაა „ციფრული დიპლომატია“ და „კიბერუსაფრთხოება“. თუმცა, ამ გაუმჯობესებებზე მუშაობა ჯერ კიდევ გრძელდება, ამიტომ საბოლოო შეფასებას ექსპერტთა ჯგუფი ვერ გააკეთებს.

უსდ-ში აცხადებენ, რომ პროგრამის გადასინჯვა მოხდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნების, ქართული და უცხოური უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამების გამოცდილების,

⁵პრაქტიკა, რომელიც გამორჩეულად ეფექტურია და რომელიც შეიძლება გახდეს საორიენტაციო ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამებისთვის.

შრომის ბაზრისა და დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების, გარე და შიდა ხარისხის შეფასების შედეგების გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, გაუმჯობესება შესაძლებელია, თუმცა უფრო მეტი განვითარების შესაძლებლობაც აშკარაა. ეს განსაკუთრებით ეხება სტუდენტების პროფესიული კარიერისთვის მომზადებას.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და პროგრამასთან მათი შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და დაწესებულების სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას სტუდენტებს 2021 წლიდან სთავაზობს. თუმცა, პროგრამა სრულად ახალი არ არის, არამედ ესაა წინა პროგრამისა გაგრძელება, რომლის სათაურიც იყო „საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონული განვითარება“. სახელის გადარქმევა საჭირო გახდა სამართლებრივი მოთხოვნების გამო.

უსდ აცხადებს, რომ ჩამოთვლილი ამოცანები და მოლოდინები საბაკალავრო პროგრამის თანმხლებია. უპირველეს ყოვლისა, სტუდენტებმა უნდა მიიღონ ყოვლისმომცველი ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი პრინციპების, პროცესების, კონცეფციების, კვლევის მეთოდებისა და თეორიების შესახებ. ამის საფუძველზე მათ უნდა მიეცეთ საშუალება კრიტიკულად აღიქვან მიმდინარე გლობალური პოლიტიკური მოვლენები და გაიგონ მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობები საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებს შორის, განსაკუთრებით ის, რაც განსაზღვრავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს როლს და ინტერესებს გლობალურ პოლიტიკაში. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (სანგუ) საერთაშორისო ურთიერთობებზე სწავლის შემდეგ, კურსდამთავრებულებს საშუალება ექნებათ მართონ საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები, ჩაერთონ სხვადასხვა საჯარო თუ კერძო, საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციის საქმიანობასა და ინსტიტუტებში საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით. ამდენად, დასაქმების ძირითადი სფეროები გათვალისწინებულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში; სახელმწიფო და კერძო სექტორში; საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამეცნიერო კვლევითი ცენტრებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლობებში; თვითმმართველობის რეგიონული, ადგილობრივი და მუნიციპალური ერთეულების წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებში; საერთაშორისო პროფილის გამოცემებსა და მასმედიის რედაქციებში.

პროგრამის მიზნები ზოგადად კარგად არის განსაზღვრული, რეალისტურია და მიღწევადი. გარდა ამისა, ისინი საჯაროდ ხელმისაწვდომი და გამჭვირვალეა. მიზნები ითვალისწინებს

საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს სპეციფიკას და შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის დონეს. მიზნები ასახავს რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას ითვალისწინებს პროგრამა კურსდამთავრებულებში. დასახული მიზნების მეშვეობით უსდ ასახავს თავის წვლილს საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის განვითარებასა და ქართულ საზოგადოებაში, ასევე საერთაშორისო სფეროში. მიზნები შეესაბამება სანგუ-ს მისიას, მის მიზნებსა და სანგუს ორი სკოლის სტრატეგიას. სასწავლო პროგრამის ხასიათიდან გამომდინარე, ინტერნაციონალიზაციის ასპექტები სრულად არის გათვალისწინებული, შინაარსობრივი და დისციპლინური თვალსაზრისით. თუმცა ინტერნაციონალიზაციის სხვა ნაწილები უნდა გაუმჯობესდეს. ამდენად, რეკომენდებულია პრაქტიკული გაცვლითი აქტივობების გაძლიერება და სტუდენტების დაკავშირება საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ქსელებთან.

ნაწილობრივ გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები და შრომის საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები და საჭიროებები. შრომის ბაზრის პოტენციური საჭიროებებისა და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ჩატარდა ბაზრის კვლევა დამსაქმებლების მიერ, პროგრამის შეფასების ჩათვლით; თვითშეფასების ანგარიში მოიცავს ონლაინ ინტერვიუებს და აღწერს პროგრამის გამოწვევებსა და შესაძლებლობებს. თუმცა, ეს დამსაქმებლები არ არიან მთავარი დაინტერესებული მხარეები საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში და ჩატარებულ კვლევას აკლია საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებები და ძირითადად ფოკუსირებულია ფინანსურ ინსტიტუტებზე ან კერძო კომერციულ კომპანიებზე, ეს ზღუდავს, შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საჭიროებების შესახებ, ღრმა და ყოვლისმომცველი სურათის მიწოდების შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებლებთან შეხვედრები, ასევე დასაქმების ბაზრობები, იმართება წელიწადში ერთხელ, არ არის მითითებული დამსაქმებლებთან მუდმივი საკომუნიკაციო ფორმატის ჩამოყალიბებული მექანიზმი, მათ შორის ფორმალური თუ არაფორმალური. მეორე მხრივ, ზოგიერთმა დამსაქმებელმა საუკეთესო პრაქტიკად დაასახელა ის ფაქტი, რომ მათი რჩევები პროგრამის გაუმჯობესების შესახებ ადმინისტრაციამ მხედველობაში მიიღო, მაგალითად, ჩინური ენის გაკვეთილების გაძლიერება.

რაც შეეხება ბოლო აკრედიტაციის შემდგომ ცვლილებებს, უსდ დოკუმენტებში და ინტერვიუებში აღწერს, რომ პროგრამა არსებითად გააუმჯობესა და სისუსტეები აღმოფხვრა. ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს ძალისხმევას და აფასებს, რომ უნივერსიტეტს სურს ყურადღება გაამახვილოს განვითარებად ტენდენციებზე, როგორიცაა „ციფრული დიპლომატია“ და „კიბერუსაფრთხოება“. თუმცა, ამ გაუმჯობესებებზე მუშაობა ჯერ კიდევ გრძელდება, ამიტომ საბოლოო შეფასებას ექსპერტთა ჯგუფი ვერ გააკეთებს.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- დამსაქმებლების მიერ პროგრამის შეფასება;
- გასაუბრება დამსაქმებლებთან;
- ინტერვიუები პროგრამის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია შრომის ბაზრის საჭიროებებისა და მოთხოვნების ღრმა და ყოვლისმომცველი შეფასება, უფრო ფართო ხარისხობრივი კომპონენტით და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მომუშავე მიზნობრივი აუდიტორიით.
- რეკომენდებულია პოტენციურ დამსაქმებლებთან (საერთაშორისო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საჯარო სექტორთან) მუდმივი კომუნიკაციის მექანიზმის ჩამოყალიბება, რომელიც განხორციელდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.1 პროგრამის მიზნები	☐	☒	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა შექმნილია იმისთვის, რომ კურსდამთავრებულებს შეეძლოთ იმუშაონ ტრანსნაციონალურ ასპექტებთან კავშირში მყოფ პროფესიულ სფეროებში. ეს მოიცავს როგორც დიპლომატიურ სამსახურს, ასევე საერთაშორისო ბიზნეს ურთიერთობებს და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობას. ამ ფონზე, სანგუ აღწერს რვა ძირითად სწავლის შედეგს, რომლებიც მიიღწევა პროგრამით. სანგუ აღწერს პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებას, როგორც თანამშრომლობით პროცესს, რომელშიც ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, განსაკუთრებით უნივერსიტეტის პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, კურსდამთავრებული ავლენს შემდეგ კომპეტენციებს:

- შედეგი 1: პროგრამაში სწავლისას მიღებულ ყოვლისმომცველ ცოდნაზე დაყრდნობით აღწერს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს, პრინციპებსა და კონცეფციებს.
- შედეგი 2: ეძებს საჭირო ინფორმაციას, დოკუმენტაციას და სამეცნიერო სიახლეებს საერთაშორისო მონაცემთა ბაზებიდან/ბიბლიოთეკებიდან, მოხსენებებისა და პრეზენტაციების მოსამზადებლად.

- შედეგი 3: ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული ინსტიტუციური, პოლიტიკური, დიპლომატიური, სამართლებრივი, ეკონომიკური და ინტეგრაციული პროცესების იდენტიფიცირებას.
- შედეგი 4: აანალიზებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებულ გამოწვევებს, მათ შორის, მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, შესაძლო შედეგებს და აკეთებს არგუმენტირებულ დასკვნებს.
- შედეგი 5: ამზადებს ანალიტიკური და სხვა სახის ნაშრომებსა და დოკუმენტებს, როგორც ქართულ, ისე უცხოენაზე, მათ შორის, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.
- შედეგი 6: მონაწილეობს საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალური საკითხების განხილვასა და დისკუსიებში.
- შედეგი 7: გეგმავს უწყვეტ პროფესიულ და კარიერულ განვითარებას.
- შედეგი 8: იზიარებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დამკვიდრებულ ეთიკის ნორმებს და მათი გავრცელების ხელშეწყობის პასუხისმგებლობას.

პროგრამის სწავლის შედეგები ნაწილობრივ აკმაყოფილებს პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარების ძირითად კომპლექტს. შეიძლება მიზნების გაზომვა რთულია, თუმცა, ისინი ფართოდ მიღწევადი და რეალისტური ჩანს; უფრო მეტიც, ისინი შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის შესაბამის კვალიფიკაციის დონეს. ამის საფუძველზე მოსალოდნელია, რომ სტუდენტები შემდგომში შეძლებენ სამაგისტრო პროგრამის დასრულებას. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოზე საკმარისი მითითებებია გაკეთებული. თუმცა, სუსტი მხარეები შეიმჩნევა პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების მოთხოვნებთან დაკავშირებით. არსებობს ეჭვები იმის თაობაზე, აძლევს თუ არა კურსდამთავრებულებს სწავლის შედეგები შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებას.

ვიზიტის ფარგლებში შევნიშნეთ თეორიული და პრაქტიკული უნარების სინთეზის, წერითი, სიტყვიერი და პრაქტიკული უნარების გაძლიერების აუცილებლობა. როგორც გასაუბრებებით დასტურდება, კურსდამთავრებულთა უმეტესობა არ არის დასაქმებული შესაბამის სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკული სწავლების კომპონენტი გარკვეულწილად შედის სილაბუსში, ამ მიზნისთვის ძირითადად სტუდენტების პრეზენტაციები გამოიყენება. შესაბამისად, შეზღუდულია სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიების აუცილებლობა, ასევე სტუდენტებისთვის შრომის ბაზრისთვის აუცილებელი ანალიტიკური, ვერბალური და წერითი უნარ-ჩვევების შეძენის შესაძლებლობა, რასაც სტუდენტთა გამოკითხვის დოკუმენტი და ლექტორებთან გასაუბრებაც ადასტურებს.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- დამსაქმებლების მიერ პროგრამის შეფასება;
- გასაუბრება დამსაქმებლებთან;
- ინტერვიუები პროგრამის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- დარგის სპეციფიკიდან და შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სტუდენტების პრაქტიკული, წერიტი და ვერბალური უნარ-ჩვევებით აღჭურვა და შესაბამისი აქტივობების განხორციელება ამ კომპონენტების გასაძლიერებლად, სასწავლო პროგრამაში მათი ინტეგრირებით და თანამედროვე მეთოდოლოგიების გამოყენებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	☒	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს სწავლის შედეგების შეფასების შესაბამისი მექანიზმი, რომელიც შემუშავებულია თავისი დებულებისა და აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ერთეული ეყრდნობა მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის სათანადო პროცედურებს, რომლებიც ხორციელდება მკაფიო პროტოკოლით. შეფასების ჯგუფი შედგება სხვადასხვა როლების მქონე წევრებისგან, რაც უზრუნველყოფს შეხედულებათა მრავალფეროვნებასა და ყოვლისმომცველობას. მეთოდები, მათ შორის რეგულარულად გამოყენებადი პირდაპირი და არაპირდაპირი მექანიზმები სავსებით მისაღებია.

უკუკავშირის სქემები საკმარისია და კარგად არის შემუშავებული. პროგრამას აქვს სათანადო სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის. უსდ უზრუნველყოფს შედეგების რეგულარულ შეფასებას და მონიტორინგს და წინასწარ განსაზღვრულ ნიშნულებთან შედარებას. ასევე მოქმედებს პროცედურა, რომელიც მოიცავს შეფასების შედეგებს, პროგრამის სათანადო გაუმჯობესებისთვის. შეფასების სქემა მოიცავს კავშირს პროგრამის სწავლის შედეგებს, პროგრამის ყველა სავალდებულო კურსსა და კვლევის კომპონენტს შორის. გარდა ამისა, შეფასების პროცესში გამოიყენება ინფორმაციის შეგროვების შემდეგი მეთოდები: კურსდამთავრებულთა თვითშეფასება (როგორ შეაფასებენ მიღწეულ შედეგებს);

კურსდამთავრებულთა უნარების შეფასება დამსაქმებლების მიერ; კურსდამთავრებულთა საშუალო ქულა (GPA); საბაკალავრო ნაშრომების საბოლოო შეფასების ანალიზი; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები.

პროგრამის პერსონალი იღებს დახმარებას სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზისთვის საჭირო უნარების გამომუშავებაში; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება სასწავლო კურსით/კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებულია სასწავლო კურსისა და კვლევითი კომპონენტის დასრულების შემდეგ. შესაბამისად, სათანადოდ არის გათვალისწინებული თანმიმდევრულობა და პერიოდულობა, ასევე სწავლის სფეროს და განათლების დონის თავისებურებები. უსდ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის შესახებ დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებას.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები;
- პროგრამის შემუშავების ჯგუფის სამუშაო ოქმები;
- სწავლის შედეგების შეფასება და კურიკულუმის რუკა;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი იმგვარადაა შემუშავებული, რომ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების საუნივერსიტეტო მეთოდოლოგიის შესაბამისად. გარდა ამისა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ შესაბამისი ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს. ამასთან, პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობისა და ECTS სისტემის შესაბამისად. მისაღები მოთხოვნები ადეკვატურია. საბაკალავრო პროგრამა ფუნდამენტურად ითვალისწინებს კვლევის ახალ შედეგებს და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს. თუმცა, კურსში დიდი აქცენტი კეთდება ისტორიულ ფაქტებზე. ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ამ მიმართულებით სწავლება პროგრამაში ძალიან დიდ ადგილს იკავებს. სწორედ ამიტომ სასწავლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა სრულად არ შეესაბამება შესაძენ კვალიფიკაციას. ეს ნაკლოვანება გამოწვეულია იმით, რომ სასწავლო პროგრამა ყურადღებას ამახვილებს ისტორიულ მიდგომაზე საერთაშორისო ურთიერთობებისადმი. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასწავლო პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა საკმარისად არ უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის უნიკალურობას. პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ სტრუქტურას:

- 42 ECTS კრედიტი - ფაკულტეტის კურსები;
- 126 ECTS კრედიტი – ძირითადი სპეციალობის კურსები, რომლებიც ნაწილდება შემდეგნაირად:
 - სპეციალობის სავალდებულო კურსებს ენიჭება 90 კრედიტი,
 - 12 კრედიტი ენიჭება საბაკალავრო ნაშრომს და
 - 24 კრედიტი ენიჭება არჩევით კურსებს.
- 12 კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალ კრედიტებად.
- 60 ECTS კრედიტი - სტუდენტებს შეეძლებათ ამ კრედიტების ათვისება ძირითადი პროგრამის არჩევითი კურსებით ან სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული საგნების თავისუფალი კრედიტებით ან სანგუს სხვა პროგრამების მიერ შემოთავაზებული დამატებითი (მინორული) სპეციალობის შეძენით.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულია პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად. თითქმის ყველა სავალდებულო კურსს აქვს 6 კრედიტი, რომელიც შემუშავებულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პოლიტიკის შესაბამისად. უცხო ენის კურსებს B2 დონეზე აქვს 12 კრედიტი. ჩინური და ევროპული ენები სტუდენტს აძლევს ერთი და იმავე ოდენობის კრედიტებსა და საათებ და ამით ხდება ენის ცოდნის B2 დონის მიღწევა. ენის სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიხედვით, აღმოსავლურ ენებს და მათ შორის ჩინურ ენას (რომელიც ყველაზე რთულ ენად ითვლება), უფრო მეტი საათი სჭირდება B2 დონის მისაღწევად, ვიდრე ევროპულ ენებს, როგორცაა გერმანული, ფრანგული ან ინგლისური.

სასწავლო პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია, მაგრამ კომპეტენციის პროფილთან მიმართებით, მიზნებზე ორიენტირებული განათლება სრულად არ ჩანს კურსის განმავლობაში. კერძოდ, აკლია პრაქტიკული სწავლების კომპონენტები, რის გამოც სტუდენტის მიერ პრაქტიკული სამყაროს შესაბამისი კომპეტენციები თითქმის არ არის შეძენილი. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ექსკურსიებზე წასვლა არ არის საკმარისი პრაქტიკული უნარების განსავითარებლად. ასევე, ისტორიულ შინაარსზე დომინანტური აქცენტის გაკეთება ნაკლებად აკმაყოფილებს თანამედროვე განათლების მოთხოვნებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსა და არასახელმწიფო აქტორების როლისთვის. "ციფრული დიპლომატიის" და "უსაფრთხოების კვლევების" სპეციალობები ამჟამად ჯერ არ არის თვალსაჩინო და უფრო მეტად უნდა განვითარდეს, რათა უფრო აშკარა გახდეს პროგრამის უნიკალურობა.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- დამსაქმებლების მიერ პროგრამის შეფასება;
- გასაუბრება დამსაქმებლებთან;
- ინტერვიუები პროგრამის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია „ციფრული დიპლომატიის“ და „უსაფრთხოების კვლევების“ სპეციალობების განვითარება, რადგან პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით ისტორიულ ცოდნასა და საბაზისო კომპეტენციებზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სწავლის შედეგების მისაღწევად სასურველია ჩინური ენის საათებისა და კრედიტების სათანადოდ განსაზღვრა/გაანგარიშება.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სანგუში სტუდენტების სასწავლო დატვირთვას (საკონტაქტო საათების განაწილება, დამოუკიდებელი სამუშაო საათები და სასწავლო მასალის რაოდენობა) აკონტროლებს ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი შესაბამისი კითხვარების, სტუდენტების გამოკითხვისა და ფოკუს ჯგუფების მეშვეობით. კურსის სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შემდეგი ფაქტორებით:

- სწავლის შედეგების კორელაცია კურსის მიზნებთან და შინაარსთან,
- სწავლებისა და სწავლების, შეფასების მეთოდოლოგიით, სათანადოდ შერჩეული შინაარსითა და საჭირო საკითხავი და სხვა საგანმანათლებლო მასალების მოცულობით, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში უახლესი მიღწევებისა და უახლესი კვლევების გათვალისწინებით.

კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება შესაბამისი შეფასების მეთოდებითა და კრიტერიუმებით, რომლებიც აისახება შესაბამისი სილაბუსებში.

თითოეული აკადემიური კურსის შინაარსი შეესაბამება საგნის სწავლის შედეგებს. თუმცა, აღმოჩენილია გარკვეული დისბალანსი ისტორიული კურსის შინაარსთან დაკავშირებით (გთხოვთ, იხილოთ რეკომენდაცია 1.4-ში).

თითოეული აკადემიური კურსისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს; გარდა ამისა, თანაფარდობა საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს შორის არის ადეკვატური და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. ამის გათვალისწინებით, საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება საგნის შინაარსს და სწავლის შედეგებს. ფასდება თითოეული სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგი.

სილაბუსებში ჩამოთვლილი საჭირო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები გარკვეულწილად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია მოდულის აღწერილობაში მეტი საერთაშორისო ლიტერატურა იყოს შეტანილი. ამგვარად, უფრო მკაფიოდ შეიძლება იმაზე ხაზგასმა, რომ საგნის მიღწევები ასევე ითვალისწინებს საერთაშორისო ურთიერთობების დარგში არსებულ უახლეს კვლევებსაც. ამჟამად ძალიან საბაზისო და კლასიკური ლიტერატურაა ჩამოთვლილი.

პროგრამის სწავლის მე-5 შედეგის თანახმად, კურსდამთავრებული ამზადებს ანალიტიკური და სხვა სახის ნაშრომებსა და დოკუმენტებს, როგორც ქართულ, ისე უცხო ენაზე, მათ შორის, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. სასწავლო გეგმაში არის უცხოენოვანი კურსები, მაგრამ სპეციალობის სხვა სავალდებულო კურსები მოიცავს ლიტერატურას მხოლოდ ქართულ ენაზე ("საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია", "საერთაშორისო ურთიერთობების თეორია", "შედარებითი პოლიტიკა", "სოციალური კვლევის მეთოდოლოგია", "საერთაშორისო სამართალი"). ზოგიერთი კურსის სილაბუსების მიხედვით, მოცემული ლიტერატურა ძველია („საერთაშორისო ტერორიზმი“ - მაგალითად, რ. გაჩეჩილაძე, „ახლო აღმოსავლეთი“ ბოლოს გამოცემა 2018 წელს, „შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში“ - Heywood Politics-ს აქვს 2008 წლის გამოცემა, თუმცა მის ნაცვლად 2007 წლის გამოცემა კურსში მითითებული, ჯეიმს დანციგერის „პოლიტიკური სამყაროს გაგებას“ აქვს 2020 წლის მე-13 გამოცემა, მაგრამ კურსში შემოთავაზებულია 1991 წლის პირველი გამოცემა; ასევე აღმონდის „შედარებითი პოლიტიკას“ აქვს 2018 წლის მე-12 გამოცემა, მაგრამ კურსში შეთავაზებულია 2004 წლის პუბლიკაცია. როჯერ ფიშერისა და უილიამ ურიის „დიპლომატიური ეტიკეტი და მოლაპარაკებების ხელოვნება“ - არსებობს ამ წიგნის 2011 წლის გამოცემა, ნაცვლად 1991 წლის გამოცემისა, რომელიც შემოთავაზებულია კურსში); "საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია", „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“).

ზოგიერთ კურსში შემოთავაზებული ლიტერატურა არ არის აქტუალური. მაგალითად, კურსში „საერთაშორისო ტერორიზმი“ შემოთავაზებულია ჟურნალი „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი“ N4, 2013 წლის გამოცემა, მაგრამ ამ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიებიდან ყველა არ არის დაკავშირებული ტერორიზმ საკითხებთან.

კურსს „ქართული დიპლომატიის ისტორია“ აქვს ლიტერატურა ქართულ ენაზე და დამატებითი ლიტერატურა ქართულ და რუსულ ენებზე. ბევრად უფრო საინტერესო და ეფექტური იქნება, თუ

კურსი სტუდენტებს შესთავაზებს ლიტერატურას სხვა ევროპულ ენებზეც. ასევე, კურსის განრიგში გამოტოვებულია 1921 წლიდან XX საუკუნის ბოლომდე არსებული საკითხები (მე-14 კვირიდან მე-15 კვირამდე).

მტკიცებულება/ინდიკატორები

- დამსაქმებლების მიერ პროგრამის შეფასება;
- გასაუბრება დამსაქმებლებთან;
- ინტერვიუები პროგრამის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ლიტერატურის განახლება შემდეგ კურსებში: საერთაშორისო ტერორიზმი, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, საერთაშორისო სამართალი, შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში, დიპლომატიური ეტიკეტი და მოლაპარაკებების ხელოვნება.
- რეკომენდებულია უცხო ენის კომპეტენციის გაძლიერება კურსებში ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამატებით.
- რეკომენდებულია შესაბამისი საკვანძო ლიტერატურის მიწოდება სპეციალობის კურსებზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა უნდა მოიცავდეს უფრო თანამედროვე საერთაშორისო ლიტერატურას, რადგან ამჟამად ძირითადად გამოიყენება კლასიკური ტექსტები.
- სასურველია დაემატოს 1921 წლიდან 1990-იან წლებამდე პერიოდში ქართული დიპლომატიის ისტორიის საკითხები.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი მიღების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას, სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს აქვს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები, რომელიც არის საჯარო და ხელმისაწვდომი; მიღება ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების პროცედურით, კანონმდებლობის საფუძველზე.

პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია აგრეთვე შიდა ან გარე მობილობით. გარე მობილობა ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით „უმაღლეს სასწავლებლებს შორის გადაყვანის წესის დამტკიცების შესახებ“. ვადებს რაც შეეხება, შესაბამისი დამატებითი პროცედურა განისაზღვრება უსდ რექტორის აქტით და ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე შიდა მობილობის დაწყებამდე. თუმცა, უმაღლეს სასწავლებლებში უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვის პროცედურა უსდ-ის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში არ არის აღწერილი.

ინგლისური ენის შესწავლა სავალდებულოა ყველა სტუდენტისთვის, ვინც ჩაირიცხება საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამაზე. პროგრამის აღწერილობის მიხედვით, ინგლისური ენის დონე განისაზღვრება სტუდენტების მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების მიხედვით. მაგრამ მექანიზმი არ არის აღწერილი პროგრამაში. აუცილებლობის შემთხვევაში, აბიტურიენტის ცოდნის დონის დასადგენად, უნივერსიტეტის ენების ცენტრის მიერ ტარდება ტესტირება ინგლისურ ენაში.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის აღწერილობა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია უცხოელი სტუდენტების პროგრამაზე ჩარიცხვისთვის საჭირო შეფასების პროცედურის დეტალურად აღმწერი დოკუმენტის უზრუნველყოფა.
- უსდ-მ უნდა აღწეროს ინგლისური ენის დონის განსაზღვრისა და სტუდენტების სხვადასხვა ჯგუფად დაყოფის პროცედურა.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა დაგეგმილია უნივერსიტეტის მისიის, გეგმებისა და სტრატეგიული მიმართულებების შესაბამისად. პროგრამა გადაკეთდა პროგრამის ხელმძღვანელების მიერ. საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა შედგება 120 ECTS კრედიტისგან. კრედიტები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- საფაკულტეტო კურსები - 42 ECTS კრედიტი, რომელიც შედგება შემდეგი კურსებისაგან: აკადემიური წერა, ფილოსოფიის შესავალი, თანამედროვე საოფისე ტექნოლოგიები, ინგლისური ენის ცოდნა (B2);
- ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები - 126 ECTS კრედიტი, მათ შორის 90 ECTS კრედიტი ეთმობა სპეციალობის სავალდებულო კურსებს (საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი, პოლიტიკური მეცნიერებების შესავალი, დიპლომატიური ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება, საერთაშორისო ორგანიზაციები, ქართული დიპლომატია (I, II), კვლევის მეთოდოლოგიები სოციალურ მეცნიერებებში, საერთაშორისო სამართალი, საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია (I, II), საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საგარეო პოლიტიკის ანალიზი, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, შედარებითი პოლიტიკა, სოციალური და პოლიტიკური ფილოლოგია), 12 ECTS კრედიტი საბაკალავრო დისერტაციისთვის, 24 ECTS კრედიტი არჩევით კურსებზე, როგორცაა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა, რუსეთის საგარეო პოლიტიკა,

თურქეთის საგარეო პოლიტიკა, აშშ საგარეო პოლიტიკა, ჩინეთის საგარეო პოლიტიკა, საქართველოს საგარეო პოლიტიკა, მასმედია და საერთაშორისო ურთიერთობები, აშშ და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურები, შესავალი ანალიტიკურ აზროვნებაში, საერთაშორისო მიგრაცია, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, პოლიტიკური კულტურა, ეროვნული უსაფრთხოება და დაზვერვა, ციფრული დიპლომატია, პოლიტიკური იდეოლოგიები, ჰიბრიდული ომები, საერთაშორისო ტერორიზმი, პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში, ნატოს როლი მსოფლიო პოლიტიკაში, რელიგია და საერთაშორისო ურთიერთობები, შორეული აღმოსავლეთის საგარეო პოლიტიკა, ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკა, პოლიტიკური ფილოსოფია).

- 12 ECTS კრედიტი განისაზღვრება, როგორც თავისუფალი კრედიტები, რათა სტუდენტს შესაძლებლობა მიეცეს აირჩიოს ნებისმიერი კურსი პროფესიული ან პიროვნული განვითარებისთვის.
- სტუდენტს შესაძლებლობა ექნება აითვისოს 60 კრედიტი ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსებიდან ან გაიაროს უნივერსიტეტის სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული კურსები ან უმაღლესი სასწავლებლის სხვა სპეციალობების დამატებითი (მაინორი) პროგრამა.

უმაღლესი სასწავლებელი გვთავაზობს უცხო ენების კურსებს, როგორცაა ფრანგული, გერმანული და ჩინური. აკრედიტაციის შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას არჩევით კურსად დაემატა კიდევ ერთი ევროპული ან აღმოსავლური ენა.

უმაღლესი სასწავლებელი გვთავაზობს მხოლოდ ერთ კურსს ეკონომიკაში - საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. გასაუბრებების დროს პროგრამის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ ეკონომიკის სწავლების შემცირების გადაწყვეტილება სტუდენტებისგან მიღებული უკუკავშირის შემდეგ მიიღეს. სტუდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ მათ ჰქონდათ რამდენიმე კურსი ეკონომიკაში, მაგრამ შინაარსი და სასწავლო საკითხები ერთი და იგივე იყო თითოეული კურსისთვის. ამიტომ მათ მოითხოვეს ეკონომიკის მხოლოდ ერთი კურსის დატოვება. თუმცა საერთაშორისო ურთიერთობების ახალი პროგრამა, რომელიც სტუდენტებს აძლევს ცოდნას და განავითარებს შესაბამის უნარებს ამ მნიშვნელოვან სფეროში მხოლოდ ერთი კურსის საფუძველზე, შესაძლოა არ იყოს საკმარისი და უკეთესი იქნება ეკონომიკური საგნების გაძლიერება.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ საბაკალავრო ნაშრომებში არ არის წარმოჩენილი მეთოდოლოგიის ნაწილი, საკვლევი საკითხი ან ჰიპოთეზა. ისინი დაწერილია აღწერილობითი სტილით და არ ჩანს, თუ როგორ ჩატარდა კვლევა, როგორი იყო მეთოდოლოგია, როგორ შეირჩა და გამოყენებული იქნა ეს მეთოდოლოგია საერთაშორისო ურთიერთობების სპეციფიკის მოთხოვნების შესაბამისად. დამოწმებული ლიტერატურა არ არის მრავალფეროვანი, რამდენიმე საბაკალავრო ნაშრომში მითითებულია მხოლოდ სტატიები და წყაროები გაზეთებიდან. მკაცრად განსაზღვრული დეტალური გზამკვლევი, თუ როგორ უნდა დაიწეროს საბაკალავრო ნაშრომი და რომელი კომპონენტების გათვალისწინება იქნება უმჯობესი (მაგალითად, საკვლევი საკითხი, ჰიპოთეზა, სადისერტაციო კვლევის პროექტი, ფორმატი და სტანდარტები) გაუადვილებს სტუდენტებს ინსტრუქციების მიყოლას, რაც აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში კვლევების შესასრულებლად.

უმაღლესი სასწავლებელში ფუნქციონირებს სამეცნიერო კვლევისა და განვითარების დეპარტამენტი და საზოგადოებრივი და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი.

დეპარტამენტები რეგულარულად აცნობენ სტუდენტებსა და ლექტორებს მოახლოებული კონფერენციების, ვორქშოპების, ტრენინგების შესახებ, ასევე კონსულტირებას უწევენ სტუდენტებს სხვადასხვა თემაზე.

დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილი შეფასების ანგარიშისა და ვიზიტის დროს დამსაქმებლებთან გასაუბრების საფუძველზე, სანგუ-ს სტუდენტების კმაყოფილება შედარებით მაღალია, თუმცა წარმოდგენილ დამსაქმებელთა შეზღუდული რაოდენობა (3) ართულებს სრული სურათის შეფასებას, იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთ მათგანს ამჟამად ორგანიზაციაში არ ჰყავს უნივერსიტეტის თანამშრომელი ან სტაჟიორი. უფრო მეტიც, მიმდინარე ადგილობრივ თუ რეგიონულ პოლიტიკურ ანალიზებში თეორიული ცოდნის გამოყენება, ყველაზე ნაკლებად განვითარებული უნარია პროგრამის სტუდენტებს შორის. ხაზი გაესვა პრაქტიკული და ანალიტიკური უნარების გაუმჯობესების აუცილებლობას, ასევე მონაცემთა შეგროვებას. რაც შეეხება ტრანსფერულ უნარებს, გამოიკვეთა კომუნიკაციის უნარების გაძლიერება.

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეფასების ანგარიშებზე, ასევე გასაუბრებებზე დაყრდნობით, პროგრამის ძირითად ასპექტებად დასახელდა დისკუსიის მეტი შესაძლებლობა და სწავლების თანამედროვე მეთოდების ინტეგრირება.

ამ პროგრამაში პრაქტიკა ან სტაჟირება არ არის სავალდებულო, არც არჩევითი კომპონენტი და არ აქვს კრედიტები. სტაჟირების ნაცვლად კურსებში ჩართულია ყოველდღიური სავსე ვიზიტები. მიუხედავად იმისა, რომ არის სტაჟირების ცალკეული შემთხვევები, უმეტესად ის ტარდება სტუდენტების პირადი მცდელობებით ან დაკავშირებულია საბაკალავრო დისერტაციის წერის პროცესთან (დაფიქსირდა მხოლოდ ერთი ასეთი შემთხვევა). ასეთი გამონაკლისი შემთხვევებისთვის არსებობს სტაჟირების ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელის მიერ შეფასების კომპონენტი.

მიუხედავად იმისა, რომ სავსე ვიზიტები შეიძლება ჩაითვალოს სასწავლო პროცესის დადებით ასპექტად, ის არ არის საკმარისი სტაჟირების ან პრაქტიკის დროს მიღებული პრაქტიკული გამოცდილების ჩასანაცვლებლად. სტაჟირების/პრაქტიკის არსებული მოდელის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ამ კომპონენტის გაძლიერება და სტუდენტებისთვის სტაჟირებისა და პრაქტიკული გამოცდილების უფრო ეფექტიანად მიღების შესაძლებლობა.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის აღწერილობა;
- პროგრამის სილაბუსები;
- საბაკალავრო ნაშრომის მომზადების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციები;
- საბაკალავრო ნაშრომი;
- გასაუბრება უნივერსიტეტის პერსონალთან;
- გასაუბრებები დამსაქმებლებთან, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- გასაუბრება ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- სტუდენტთა შეფასების ანგარიში;
- დამსაქმებელთა შეფასების ანგარიშები;
- პრაქტიკის/სტაჟირების წანამდგურები;
- მემორანდუმი;
- სილაბუსები;

- გასაუბრება პედაგოგებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამაში კვლევითი კომპონენტის გაძლიერება საბაკალავრო ნაშრომის კვლევის დეტალური სახელმძღვანელოებით, რომელიც აზუსტებს კვლევის კომპონენტებს (საკვლევი კითხვა/ჰიპოთეზა/საკვანძო განცხადება, მეთოდოლოგია, ლიტერატურის მიმოხილვა და ა.შ.).
- რეკომენდებულია სტაჟირების/პრაქტიკის ფორმალური კომპონენტის შექმნა და ECTS-ის მინიჭება (სასურველია 5-დან 6-მდე), ასევე მისი შეფასების მექანიზმის ჩამოყალიბება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

